

შპს „კავკასიენერგო“

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების დამატებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	16
5. მთლიანი შემოსავალი და ხარჯი	18
6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	19
7. ძირითადი საშუალებები	20
8. გაცემული სესხები	21
9. მარაგები	21
10. გადახდილი ავანსები	21
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
12. ფული და ფულის ეკვივალენტები	22
13. ფინანსური ლიზინგის ვალდებულება	22
14. მიღებული სესხები	23
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
16. მიღებული ავანსები	24
17. გაუფასურების რეზერვის ხარჯი, წმინდა	24
18. მოგების გადასახადი	24
19. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები	24
20. ფინანსური რისკის მართვა	25
21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	28
22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კავკასიენერგოს“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „კავკასიენერგოს“ (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან. ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიას არ ჩაუტარებია მარაგებისა და ნაღდი ფულის ნაშთის ფიზიკური ინვენტარიზაცია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით აღნიშნული თარიღისთვის არსებული მარაგებისა და ნაღდი ფულის ნაშთის სისწორეში, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისად წარმოდგენილია 5,110 და 33 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აგრეთვე სრული შემოსავლისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებათა შესაბამის ელემენტებში 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ჩვენ ასევე ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული რწმუნება სამშენებლო პროექტების თვითღირებულების გარკვეულ ნაწილზე, კერძოდ 4,886 ათას ლარზე, რადგან მიმდინარე სამშენებლო პროექტებზე არსებული ჩამოწერის აქტები შედგენილია კომპანიის მიერ და არ ხდება მათი დადასტურება კლიენტის ან დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება, რომლის მეშვეობითაც მოვახდენდით აღნიშნული სამშენებლო პროექტების თვითღირებულების დადასტურებას. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სრული შემოსავლის, ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ჩვენ ასევე ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის გარკვეულ ნაწილზე, კერძოდ პროექტი ლახამი ჰესი-დან მიღებულ შემოსავალზე 2,781 ათასი ლარის ოდენობით. ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება, რომლის მეშვეობითაც მოვახდენდით აღნიშნული სამშენებლო პროექტიდან მიღებული შემოსავლის დადასტურებას. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სრული შემოსავლის, ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედრილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვცვალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით, არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედრილია კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თი ეი“-ს სახელით

6 ოქტომბერი 2020

თბილისი, საქართველო

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თი ეი“-ს სახელით

6 ოქტომბერი 2020

თბილისი, საქართველო



შპს „კავკასიენერგო“
 სრული შემოსავლების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათასი ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან	5	14,648	10,023
საშენებლო პროექტების თვითღირებულება	5	(9,916)	(4,085)
საერთო მოგება		4,732	5,938
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,606)	(922)
გაუფასურების რეზერვის ხარჯი , წმინდა	17	(212)	(2,376)
სხვა შემოსავალი		6	14
საოპერაციო მოგება		2,920	2,654
ფინანსური ხარჯი	13; 14	(82)	(234)
ფინანსური შემოსავალი	8	174	-
ზარალი საკურსო სხვაობიდან		64	(33)
არასაოპერაციო ხარჯები		(98)	(35)
არასაოპერაციო შემოსავალი		-	751
მოგება დაბეგვრამდე		2,978	3,103
მოგების გადასახადი	18	-	-
წლის წმინდა მოგება		2,978	3,103
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2,978	3,103

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2020 წლის 6 ოქტომბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ზურაბ ჯაფელიძე

მთავარი ბუღალტერი - ლია არაქელაშვილი

შენიშვნები 10-29 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „კავკასიენერგო“
 სრული შემოსავლების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათასი ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან	5	14,648	10,023
საშენებლო პროექტების თვითღირებულება	5	(9,916)	(4,085)
საერთო მოგება		4,732	5,938
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,606)	(922)
გაუფასურების რეზერვის ხარჯი , წმინდა	17	(212)	(2,376)
სხვა შემოსავალი		6	14
საოპერაციო მოგება		2,920	2,654
ფინანსური ხარჯი	13; 14	(82)	(234)
ფინანსური შემოსავალი	8	174	-
ზარალი საკურსო სხვაობიდან		64	(33)
არასაოპერაციო ხარჯები		(98)	(35)
არასაოპერაციო შემოსავალი		-	751
მოგება დაბეგვრამდე		2,978	3,103
მოგების გადასახადი	18	-	-
წლის წმინდა მოგება		2,978	3,103
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2,978	3,103

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2020 წლის 6 ოქტომბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ზურაბ ჯაფელიძე

მთავარი ბუღალტერი - ლია არაქელაშვილი

შენიშვნები 10-29 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „კავკასიენერგო“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ათასი ლარი)

	შენიშვნა	31-დეკ-19	31-დეკ-18
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	6,516	6,980
გაცემული სესხი	8	1,377	-
არამატერიალური აქტივები		23	5
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,916	6,985
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	9	5,110	671
გადახდილი ავანსები	10	4,980	1,365
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	9,296	8,492
ფული და ფულის ექვივალენტები	12	74	12
სულ მოკლევადიანი აქტივები		19,460	10,540
სულ აქტივები		27,376	17,525
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		13,617	10,639
სულ კაპიტალი		13,617	10,639
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური ლიზინგის ვალდებულება	13	-	36
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	36
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ფინანსური ლიზინგის ვალდებულება	13	212	84
მიღებული სესხები	14	84	481
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	5,568	3,098
მიღებული ავანსები	16	7,895	3,187
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		13,759	6,850
სულ ვალდებულებები		13,759	6,886
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		27,376	17,525

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2020 წლის 6 ოქტომბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ზურაბ ჯაველიძე

მთავარი ბუღალტერი - ლია არაქელაშვილი

შენიშვნები 10-29 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „კავკასიენერგო“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ათასი ლარი)

	შენიშვნა	31-დეკ-19	31-დეკ-18
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	6,516	6,980
გაცემული სესხი	8	1,377	-
არამატერიალური აქტივები		23	5
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,916	6,985
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	9	5,110	671
გადახდილი ავანსები	10	4,980	1,365
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	9,296	8,492
ფული და ფულის ექვივალენტები	12	74	12
სულ მოკლევადიანი აქტივები		19,460	10,540
სულ აქტივები		27,376	17,525
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		13,617	10,639
სულ კაპიტალი		13,617	10,639
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური ღირებულების ვალდებულება	13	-	36
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	36
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ფინანსური ღირებულების ვალდებულება	13	212	84
მიღებული სესხები	14	84	481
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	5,568	3,098
მიღებული ავანსები	16	7,895	3,187
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		13,759	6,850
სულ ვალდებულებები		13,759	6,886
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		27,376	17,525

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2020 წლის 6 ოქტომბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ზურაბ ჯაფელიძე

მთავარი ბუღალტერი - ლია არაქელაშვილი

შენიშვნები 10-29 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „კავკასიენერგო“
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ათასი ლარი)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2017	7,536	7,536
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	3,103	3,103
31 დეკემბერი, 2018	10,639	10,639
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	2,978	2,978
31 დეკემბერი, 2019	13,617	13,617

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2020 წლის 6 ოქტომბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ზურაბ ჯაფელიძე

მთავარი ბუღალტერი - ლია არაქელაშვილი

შენიშვნები 10-29 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „კავკასიენერგო“
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ათასი ლარი)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2017	7,536	7,536
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	3,103	3,103
31 დეკემბერი, 2018	10,639	10,639
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	2,978	2,978
31 დეკემბერი, 2019	13,617	13,617

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2020 წლის 6 ოქტომბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ზურაბ ჯაფელიძე

მთავარი ბუღალტერი - ლია არაქელაშვილი

შენიშვნები 10-29 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „კავკასიენერგო“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ათასი ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება გადასახადამდე		2,978	3,103
კორექტირებები წმინდა ფულად ნაკადებზე რეკონსილაციისთვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7	748	755
გაუფასურების რეზერვის ხარჯი, წმინდა	17	212	2,376
ფინანსური მოგება		(174)	-
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		(64)	33
ფინანსური ხარჯები	13; 14	82	234
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე		3,782	6,501
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
ცვლილება სასაქონლო მატერიალური ფასეულობებში	9	(4,439)	270
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(1,790)	(6,207)
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(3,615)	(78)
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში		2,420	(322)
ცვლილება მიღებულ ავანსებში		4,708	828
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრები პროცენტამდე და დაბეგვრამდე		1,066	992
გადახდილი პროცენტი		-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,066	992
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(285)	(303)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(18)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(303)	(303)
საფინანსო საქმიანობა			
ბანკის სესხის აღება		-	264
ბანკის სესხის დაფარვა		(632)	(932)
ფინანსური ღირებულების დაფარვა		(58)	(26)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		(690)	(694)
წმინდა ფულის და ფულის ექვივალენტების ზრდა/შემცირება		73	(5)
წმინდა ფულის და ფულის ექვივალენტების ზრდა/შემცირება		(11)	(10)
ფული და ფული ექვივალენტები წლის დასაწყისში	12	12	27
ფული და ფული ექვივალენტები წლის ბოლოს¹²		74	12

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2020 წლის 6 ოქტომბრის ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ზურაბ ჯაფელიძე

მთავარი ბუღალტერი - ლია არაქელაშვილი

შენიშვნები 10-29 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „კავკასიენერგო“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათასი ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება გადასახადამდე		2,978	3,103
კორექტირებები წმინდა ფულად ნაკადებზე რეკონსილაციისთვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7	748	755
გაუფასურების რეზერვის ხარჯი, წმინდა	17	212	2,376
ფინანსური მოგება		(174)	-
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		(64)	33
ფინანსური ხარჯები	13; 14	82	234
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან კაპიტალში ცვლილებებამდე		3,782	6,501
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
ცვლილება სასაქონლო მატერიალური ფასეულობებში	9	(4,439)	270
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(1,790)	(6,207)
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(3,615)	(78)
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში		2,420	(322)
ცვლილება მიღებულ ავანსებში		4,708	828
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრები პროცენტამდე და დაბეგვრამდე		1,066	992
გადახდილი პროცენტი		-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,066	992
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა	7	(285)	(303)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(18)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(303)	(303)
საფინანსო საქმიანობა			
ბანკის სესხის აღება		-	264
ბანკის სესხის დაფარვა		(632)	(932)
ფინანსური ღირებულების ვალდებულებების დაფარვა		(58)	(26)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		(690)	(694)
წმინდა ფულის და ფულის ექვივალენტების ზრდა/შემცირება		73	(5)
წმინდა ფულის და ფულის ექვივალენტების ზრდა/შემცირება		(11)	(10)
ფული და ფული ექვივალენტები წლის დასაწყისში	12	12	27
ფული და ფული ექვივალენტები წლის ბოლოს	12	74	12

დამტკიცებული და ხელმოწერილია 2020 წლის 6 ოქტომბერს ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი - ზურაბ ჯაფელიძე

მთავარი ბუღალტერი - ლია არაქელაშვილი

შენიშვნები 10-29 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „კავკასიენერგო“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2011 წლის 14 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის სათავე ოფისი მდებარეობს თბილისში, კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ბარათაშვილის ქ. N2, სართული 3. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის მიხეილ კირვალიძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გვირაბების მშენებლობა, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობა და რემონტი.

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაცია ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, შედარებით მაღალი ინფლაცია და ძლიერი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

2. მომზადების საფუძვლები

კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.1 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით. ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, დაგროვილი გაუნაწილებელი მოგების მოცულობა, მომგებიანობა და ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ასევე COVID-19 პანდემიის უარყოფითი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე (შენიშვნა 22). კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით არსებობს საკმარისი რწმუნება, იმის შესახებ რომ კონმპანია ფუნქციონირებას განაგრძობს მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 აშშ დოლარი / ლარი	2.8677	2.6766
1 ევრო / ლარი	3.2095	3.0701
საშუალო გაცვლითი კურსი		
	2018	2017
1 აშშ დოლარი / ლარი	2.8192	2.5345

სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები

კომპანიამ გამოიყენა ახალი სააღრიცხვო დებულებები, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან:

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 ანაცვლებს ბასს 17-ს „იჯარა“ და შემდეგ სამ ინტერპრეტაციას: ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“.

ფასს 16-ის მიხედვით მოიჯარე აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას იმ იჯარებზე, რომლებიც მანამდე კლასიფიცირებული იყო ჩვეულებრივ იჯარად. არსებობს აღიარების გამონაკლისები მოკლევადიანი იჯარებისთვის (იჯარა, რომლის ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის.

ახალი სტანდარტი დაინერგა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით;

კომპანია ფასს 16-ის გამოყენების კუმულაციური დაბალანსების კორექტირებას საწყის ბალანსზე აღიარებს წინა პერიოდის შესადარისი მონაცემების გადაანგარიშების გარეშე.

სტანდარტის დანერგვის თარიღისთვის გაფორმებული ხელშეკრულებებისთვის, კომპანიამ არჩია გამოყენებინა ბასს 17-ით და ფასიკ 4-ით მოცემული იჯარის განმარტება და არ მიუსადაგა ფასს 16 იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც არ იყო იდენტიფიცირებული, როგორც იჯარა, ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის მიხედვით.

კომპანია არ ითვალისწინებს თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოყენების უფლების შეფასებისას ფასს 16-ის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის, კერძოდ, 2019 წლის 1 იანვარს. კომპანია იჯარებზე ასევე აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს საიჯარო ვალდებულების ოდენობით, რომელიც კორექტირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იჯარასთან დაკავშირებული ყველა წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადასახადების თანხით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა (გაგრძელება)

სტანდარტის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებაზე განხილვის ნაცვლად მოიჯარე ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზა იყო თუ არა იჯარა ზარალიანი სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე. კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

იმ იჯარისთვის, რომელიც წინათ კლასიფიცირებული იყო როგორც ფინანსური იჯარა, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება საიჯარო აქტივისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება, რომელიც მათ ჰქონდა უშუალოდ ბასს 17-ის გამოყენებით შეფასებამდე.

კომპანიამ გამოიყენა წარსული გამოცდილება იჯარის ვადის განსაზღვრისას, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის მოლოდინების შეფასებისას.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე, როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

	< 30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე	>360
რეზერვი %	0%	2%	5%	25%	50%	50%

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)	
შენობა-ნაგებობები	25
მანქანა-დანადგარები	20
სატრანსპორტო საშუალებები	8
აღჭურვილობა	5
სამშენებლო ხელსაწყოები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე, სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსურ აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება, გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან

სამშენებლო კონტრაქტებიდან შემოსავლის აღიარება ხდება დასრულების პროცენტული მაჩვენებლის მეთოდის გამოყენებით, რაც გამოითვლება ანგარიშგების თარიღისთვის ფაქტიური დანახარჯების პროპორციულად, მთლიან დაგეგმილ ხარჯებთან მიმართებაში, თითოეული კონტრაქტისთვის.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, საწარმომ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად საწარმომ უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარე მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

მოგების გადასახადი

გადასახადები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. გადახდილი ავანსები კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია ავანსი, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული ავანსების ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა (გაგრძელება)

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე. სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

სამშენებლო კონტრაქტის შესრულების პროცენტის შეფასება

კომპანია აღიარებს შემოსავალს სამშენებლო კონტრაქტების შესრულების პროცენტის მეთოდით, რომელიც განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდამდე კონტრაქტზე გაწეული ხარჯის, მთლიანი კონტრაქტის განსაზღვრული ხარჯის წილის შესაბამისად და როდესაც ანაზღაურების მიღება საიმედოდ უზრუნველყოფილია. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ჩათვლის, რომ ოპერაცია ვერ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმს, შემოსავლის აღიარება გადაიდება პირობის შესრულებამდე.

შესრულების პროცენტის მეთოდი განისაზღვრება მენეჯმენტის მიერ შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ა) შესაძლებელია მთლიანი კონტრაქტის ღირებულების საიმედოდ შეფასება; ბ) სავარაუდოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში; ც) შესაძლებელია როგორც კონტრაქტის მთლიანი დანახარჯის, ასევე კონტრაქტის დასრულების ეტაპის პერიოდის ბოლოს საიმედოდ შეფასება; დ) შესაძლებელია კონტრაქტის ხარჯის გარკვევით იდენტიფიცირება და კონტრაქტზე მიკუთვნება, ისე რომ შესაძლებელი იყოს კონტრაქტზე გაწეული რეალური ხარჯების შედარება წინა შეფასებებთან.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

მარაგების მნიშვნელოვანი დაშვებები

მარაგები მოცემულია ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით და კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყენებს მსჯელობას და დაშვებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ფასის განსაზღვრად.

მარაგების ხანდაზმულობის ვადის გამო, კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას ვადაგასულ და „ნელა მოძრავ“ მარაგებზე და შემდეგ ჩამოწერს მარაგების ღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრა ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული დროის პერიოდში მოსალოდნელ მომავალ მოთხოვნაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

5. მთლიანი შემოსავალი და ხარჯი

მთლიანი შემოსავალი და ხარჯი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019		2018	
	შემოსავალი	ხარჯი	შემოსავალი	ხარჯი
პროექტი #1	2,781	(1,675)	-	-
პროექტი #2	1,314	(1,334)	-	-
პროექტი #3	1,283	(943)	-	-
პროექტი #4	998	-	1,762	(78)
პროექტი #5	941	(633)	-	-
პროექტი #6	863	(356)	-	-
პროექტი #7	822	(487)	-	-
პროექტი #8	741	(370)	-	-
პროექტი #9	728	(477)	-	-
პროექტი #10	476	(395)	-	-
პროექტი #11	464	(199)	-	-
პროექტი #12	329	(252)	-	-
პროექტი #13	291	(199)	-	-
პროექტი #14	263	(469)	-	-
პროექტი #15	-	-	5,611	(619)
პროექტი #16	-	-	792	(1,650)
პროექტი #17	-	-	457	(404)
პროექტი #18	-	-	348	(228)
სხვა პროექტები	2,354	(2,127)	1,053	(1,106)
სულ ჯამი	14,648	(9,916)	10,023	(4,085)

თვითღირებულების კომპონენტების და საერთო მოგების ანალიზისთვის იხილეთ შემდეგი ცხრილი:

	2019	2018
შემოსავალი კლიენტებთან დადებული ხელშეკრულებებიდან	14,648	10,023
საშენებლო პროექტების თვითღირებულება	(9,916)	(4,085)
მასალების ხარჯი	7,565	2,356
ხელფასი	1,357	938
ცვეთა	667	667
რემონტი	327	124
საერთო მოგება	4,732	5,938

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ხელფასი	532	518
მომსახურება	346	95
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	214	-
ცვეთა და ამორტიზაცია	81	86
ქონების გადასახადი	85	-
ბანკის საკომისიო	73	32
მივლინება	84	18
საწვავი	66	28
საპენსიო ხარჯი	36	-
იჯარა	30	71
კომუნიკაცია	21	29
დაზღვევა	20	22
კომუნალური	9	15
საკანცელარიო	1	4
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	4
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,606	922

შპს „გაგასენერგო“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის

(ათასი ლარი)

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	შენიშნა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სამშენებლო ხელსაწყოები	აქტივის გამოყენების უფლება	სულ ჯამი
თვითღირებულება							
31 დეკემბერი, 2016	-	9,583	283	148	904	-	10,918
შემენა	288	-	15	-	-	-	303
31 დეკემბერი, 2017	288	9,583	298	148	904	-	11,221
შემენა	-	142	2	-	-	140	284
31 დეკემბერი, 2018	288	9,725	300	148	904	140	11,505
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი, 2016	-	(3,043)	(207)	(51)	(187)	-	(3,488)
ცვეთის ხარჯი	(10)	(486)	(57)	(19)	(181)	-	(753)
31 დეკემბერი, 2017	(10)	(3,529)	(264)	(70)	(368)	-	(4,241)
ცვეთის ხარჯი	(12)	(479)	(36)	(20)	(181)	(20)	(748)
31 დეკემბერი, 2018	(22)	(4,008)	(300)	(90)	(549)	(20)	(4,989)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი, 2016	-	6,540	76	97	717	-	7,430
31 დეკემბერი, 2017	278	6,054	34	78	536	-	6,980
31 დეკემბერი, 2018	266	5,717	-	58	355	120	6,516

2019 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის ჯამური ცვეთის ხარჯიდან 667 ათასი აღიარდა როგორც სამშენებლო პროექტების თვითღირებულება - დარჩენილი 81 ათასი ლარი აღიარდა როგორც ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი (2018: 667 ათასი ლარი და 86 ათასი ლარი შესაბამისად).

8. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	გაცემის თარიღი	სესხის ვადა	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31-დეკ-19	31-დეკ-18
ზურაბ ჯაველიძე	19-12-16	19-12-21	20%	USD	459	251
გიორგი მოლაშხია	19-12-16	19-12-21	20%	USD	459	129
გიორგი მირუაშვილი	19-12-16	19-12-21	20%	USD	459	232
სულ გაცემული სესხები					1,377	612
ძირი					861	451
პროცენტი					516	161
რეზერვი					-	(612)
წმინდა გაცემული სესხი					1,377	-

გაცემულ სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგინა 174 ათასი ლარი (ხოლო 2018 წლის განმავლობაში გაცემული სესხი იყო დარეზერვებული, როგორც უიმედო და 160 ათასი ლარის საპროცენტო შემოსავალი არ აღიარებულა).

როგორც ეს 22-ე შენიშვნაშია აღნიშნული, გაცემული სესხის სრული ოდენობა დაიფარა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, მათ შორის მისაღები პროცენტი და ძირი.

*გაცემული სესხების გაუფასურება	2019	2018
ნაშთი წლის დასაწყისში	612	504
ცვლილება წლის განმავლობაში	(612)	108
ნაშთი წლის ბოლოს	-	612

2019 წელს გაცემული სესხების გაუფასურების აღდგენიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 772 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს მანამდე გაუფასურებულ 612 ათას ლარსა და 2018 წლის დარიცხულ პროცენტს 160 ლარის ოდენობით.

9. მარაგები

მარაგები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-დეკ-19	31-დეკ-18
დაუმთავრებელი წარმოება	4,413	404
ნედლეული	84	83
სხვა მარაგები	613	184
სულ მარაგები	5,110	671

2019 წელს 7,565 ათასი ლარი (2018: 2,356 ათასი ლარი) აღიარდა ხარჯად. ეს ხარჯი დაკლასიფიცირდა, როგორც რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.

10. გადახდილი ავანსები

ძირითადად შედგება იმპორტზე გადახდილი ავანსებისგან (762 ათასი ლარი), ასევე შეიცავს წინასწარგადახდილ ხელფასებს (73 ათასი ლარი).

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-დეკ-19	31-დეკ-18
სავაჭრო მოთხოვნები	11,799	9,322
სხვა მოთხოვნები	1,098	1,787
მოთხოვნების რეზერვი	(3,601)	(2,617)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,296	8,492

*გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია ქვემოთ:

*სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	2019	2018
ნაშთი წლის დასაწყისში	2,617	349
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ცვლილება	984	2,268
ნაშთი წლის ბოლოს	3,601	2,617

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-დეკ-19	31-დეკ-18
ნაღდი ფული	41	8
ფული ბანკში	33	4
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	74	12

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შეიძლება დაკლასიფიცირდეს, როგორც ურისკო, იქიდან გამომდინარე, რომ ბანკები, სადაც კომპანიას გახსნილი აქვს მიმდინარე ანგარიშები წარმოადგენენ საიმედო და კარგად ცნობილ საკრედიტო ინსტიტუტებს.

13. ფინანსური ლიზინგის ვალდებულება

ფინანსური ლიზინგის ვალდებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ხელშეკრულება	მეიჯარე	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	იჯარის ვადა	31-დეკ-19	31-დეკ-18
LA-72021	სს თიბისი ლიზინგი	აშშ დოლარი	20%	10/25/2020	42	60
LA-72022	სს თიბისი ლიზინგი	აშშ დოლარი	20%	10/25/2020	42	60
GEO-EM-009.12.2019	შპს ელიტ მოტორსი	აშშ დოლარი	4%	09/30/2020	128	-
სულ ფინანსური ლიზინგის ვალდებულება					212	120
მათ შორის:						
მიმდინარე					212	84
გრძელვადიანი					-	36

13. ფინანსური ლიზინგის ვალდებულება (გაგრძელება)

მინიმალური საიჯარო გადახდები	31-დეკ-19	31-დეკ-18
1 წლამდე	217	95
1-დან 5 წლამდე	-	39
5 წელზე მეტი	-	-
მინუს: მომავალი საპროცენტო ხარჯი	(5)	(14)
ფინანსური ლიზინგის ვალდებულების მიმდინარე ღირებულება	212	120

ფინანსური ლიზინგის ვალდებულებაზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი 2019 წლით დასრულებული წლისთვის შეადგენდა 12 ათას ლარს (2018: 15 ათასი ლარი).

14. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ორგანიზაცია	ხელშეკრულება	სესხის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	პროც ენტი	ვალუტა	31-დეკ-19	31-დეკ-18
სს თიბისი ბანკი	ხელშეკრულება DC-634057	29-06-16	01-07-19	7.5%	ევრო	-	397
სს თიბისი ბანკი	#000653066	12-08-16	12-08-18	8.5%	აშშ დოლარი	84	84
სულ სესხები						84	481
მათ შორის:							
ძირი						84	481
პროცენტი						-	-

სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგინა 82 ათასი ლარი (2018: 219 ათასი ლარი).

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-დეკ-19	31-დეკ-18
სავაჭრო ვალდებულებები	3,079	2,102
გადასახდელი ხელფასი	2,183	369
საგადასახადო ვალდებულებები	306	627
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,568	3,098

აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის ერთ წლამდე.
- სახელფასო ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და გადახდის პირობა არის სამ თვემდე.
- სხვა ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი და საშუალო გადახდის ვადა აქვს სამ თვემდე.

დამატებითი ინფორმაცია კომპანიის მიერ ლიკვიდურობის რისკის მართვის შესახებ იხილეთ შენიშვნა 20-ში.

16. მიღებული ავანსები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული ავანსების ბალანსი ძირითადად შედგება ჯვარი-ხორგას პროექტის ფარგლებში ჩარიცხული ავანსებისგან - 2,829 ათასი ლარი (2018 წლის 31 დეკემბერი - 3,187 ლარი).

17. გაუფასურების რეზერვის ხარჯი, წმინდა

	შენიშვნა	2019	2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ცვლილება	11	(984)	(2,268)
გაცემული სესხების გაუფასურების შემოსულობა / (ხარჯი)	8	772	(108)
გაუფასურების რეზერვის ხარჯი, წმინდა		(212)	(2,376)

18. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგრას სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2018 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

მოგების გადასახადი 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენს ნულს (2018 - ნული).

19. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელსაც მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

19. პირობითი ვალდებულებები და ოპერაციული რისკები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე არსებობს შესაბამისი რეზერვი).

20. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	31-დეკ-19	31-დეკ-18
გაცემული სესხი	10	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	9,296	8,492
ფული ბანკში	12	74	12
სულ ფინანსური აქტივები		9,370	8,504

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	31-დეკ-19	31-დეკ-18
ფინანსური ლიზინგის ვალდებულება	13	212	120
მიღებული სესხი	14	84	481
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	5,578	3,098
სულ ფინანსური ვალდებულებები		5,874	3,699

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

20. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით.

31-დეკ-19			
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	1,388	212	1,176
ევრო	3	-	3
სულ	1,391	212	1,179

31-დეკ-18			
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	-	124	(124)
ევრო	-	367	(367)
სულ	-	491	(491)

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალის მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

გავლენა მოგება-ზარალზე		
	31-დეკ-19	31-დეკ-18
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	118	(12)
ევროს 10%-ით გამყარება	0	(37)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	(118)	12
ევროს 10%-ით გაუფასურება	(0)	37

20. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, როდესაც კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2019 და 2018 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

31-დეკ-19	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	-	1,377	-	1,377
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,296	-	-	9,296
ფული და ფულის ექვივალენტები	74	-	-	74
ფინანსური ვალდებულებები				
ფინანსური ლიზინგის ვალდებულება	(212)	-	-	(212)
მიღებული სესხი	(84)	-	-	(84)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(5,568)	-	-	(5,568)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	3,506	1,377	-	4,883
31-დეკ-18	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,492	-	-	8,492
ფული და ფულის ექვივალენტები	12	-	-	12
ფინანსური ვალდებულებები				
ფინანსური ლიზინგის ვალდებულება	(84)	(36)	-	(120)
მიღებული სესხი	(481)	-	-	(481)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,098)	-	-	(3,098)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	4,841	(36)	-	4,805

21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს :

- (a) მხარეები რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის მშობლები შვილობილი კომპანიები და თანამფრახველები); ფლობს წილს კომპანიაში რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე რომელიც კონტროლდება ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს პირდაპირ ან ირიბად (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილი ქვემოთ:

		31-დეკ-19	31-დეკ-18
ურთიერთდამოკიდებულება		დაკავშირებულ მხარეებთან ბალანსები	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები			
შპს ჯეო მეტალი	საერთო კონტროლის ქვეშ	-	13
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები			
შპს ჯეო მეტალი	საერთო კონტროლის ქვეშ	-	494
გაცემული სესხები			
ზურაბ ჯაველიძე	საერთო კონტროლის ქვეშ	459	251
გიორგი მოლაშხია	საერთო კონტროლის ქვეშ	459	129
გიორგი მირუაშვილი	საერთო კონტროლის ქვეშ	459	232
გაცემული სესხის გაუფასურების შემოსულობა		612	(612)
		2019	2018
ურთიერთდამოკიდებულება		დაკავშირებულ მხარეებთან ბალანსები	
შემოსავალი			
შპს ნიუ ბილდინგი	საერთო კონტროლის ქვეშ	8	0

დაკავშირებულ მხარეებთან სხვა ტრანზაქციები:

მენეჯმენტის ანაზღაურება	31-დეკ-19	31-დეკ-18
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	219	227

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2020 წლის 06 ოქტომბერს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2020 წლის 5 თებერვალს მოხდა გაცემული სესხის სრული ოდენობით (ძირის და პროცენტის) მიღება.
- 2020 წლის დასაწყისში მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი ვირუსი COVID-19 (კორონავირუსი), რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო, საქართველოში 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა 2 თვით. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, აღნიშნულ პერიოდში კომპანია გადასული იყო მუშაობის ე.წ. „დისტანციურ რეჟიმზე“. საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ კომპანია დაუბრუნდა ჩვეულ ფუნქციონირებას და განაგრძო მუშაობა ჩვეულ რეჟიმში.

საანგარიშგო პერიოდის შემდგომ პერიოდში არ გამოვლენილა სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

მმართველობითი ანგარიში

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს “კავკასიენერგო” (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანიის რეგისტრაციის თარიღია 2011 წლის 14 დეკემბერი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს ფიზიკური პირი, მიხეილ კირვალიძე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს გვირაბების მშენებლობა, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობა და რემონტი. კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მასშტაბით.

კომპანიის აღმასრულებელი ორგანოს წარმოადგენს დირექტორატი. კომპანიის დირექტორს და გადაწყვეტილებების მიმღებს, კომპანიის მფლობელთან ერთად წარმოადგენს ზურაბ ჯაველიძე.

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, შემდეგ მისამართზე - ძველი თბილისის რაიონი, ბარათაშვილის ქ. N2, სართული 3. კომპანიას არ გააჩნია ფილიალები. დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2019 წლისთვის შეადგენდა 112 ადამიანს.

კომპანიის ფინანსური მდგრალობა და ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიას გააჩნია მდგრადი ფინანსური მდგომარეობა (კაპიტალის ზრდა). მტკიცე საგადასახდლო დისციპლინა. ფინანსური მდგრალობა დაკავშირებულია სხვადასხვა მაჩვენებლებთან: საიმედო მონაცემებთან, რომელიც მნიშვნელოვანია მოხმარებისთვის და სარგებლიანი ინფორმაციისთვის, გადაწყვეტილებების მიღებისა და შედეგისათვის. ინფორმაცია კომპანიას ყოველთვის აქვს სრული, დროული, ზუსტი, გასაგები და მნიშვნელოვანი, საიმედო და უტყუარი. კომპანიის წინდახედული და სამართლიანი მიდგომებისა და შეფასებების ჩამოყალიბებით, ასევე ფინანსური რესურსების მიზნობრივი და ეფექტური გამოყენება კომპანიის მდგრალობის ხელშემწყობია. აღნიშნული ვლინდება სექტორის სხვა კომპანიებთან ურთიერთობის, მაკონტროლებელი ორგანოებისა და აუდიტის ანალიზის შედარებაზე დაყრდნობით.

კომპანიის მოგებამ 2019 წელს შეადგინა 2,944 ათასი ლარი, რაც უმნიშვნელო კლებაა 2018 წლის 3,103 ათასი ლარის მოგებასთან შედარებით.

საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი

კომპანიას თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში გააჩნდა და გააჩნია საკრედიტო რისკი. ეს არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი (ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვერელი მხარე) არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს კუთვნილი თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. საკრედიტო რისკი კომპანიას ძირითადად წარმოეშვება მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნებიდან.

კომპანიას გააჩნია საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი, რომელიც მოიცავს ინფორმაციის შემოწმებას გარე რესურსებიდან, მათი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში. საწარმოებისათვის მოთხოვნების მაქსიმალური ლიმიტის დადგენა მათთან წარსული ურთიერთობის, გამოცდილების საფუძველზე. ასევე, კომპანია მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მიმართავს ღონისძიებებს საკრედიტო რისკების მაქსიმალურად შესამცირებლად, რაშიც იგულისხმება:

- ფინანსური ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს დარიცხვა.
- სასამართლოში სარჩელის შეტანა თანხის იძულებით გადახდევინებაზე.

ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომა არის, რამდენად შესაძლებელია გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულებების გაჩენისას ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების დაფარვისათვის საჭირო შესაბამისი აქტივები.

ფულადი სახსრები მთლიანად განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე, რომელიც ამყარებს კომპანიის ლიკვიდურობას.

კომპანიის ლიკვიდურობის მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგია:

31-დეკ-19	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	-	1,377	-	1,377
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,296	-	-	9,296
ფული და ფულის ექვივალენტები	74	-	-	74
ფინანსური ვალდებულებები				
ფინანსური ლიზინგის ვალდებულება	(212)	-	-	(212)
მიღებული სესხი	(84)	-	-	(84)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(5,568)	-	-	(5,568)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	3,506	1,377	-	4,883

31-დეკ-18	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,492	-	-	8,492
ფული და ფულის ექვივალენტები	12	-	-	12
ფინანსური ვალდებულებები				
ფინანსური ლიზინგის ვალდებულება	(84)	(36)	-	(120)
მიღებული სესხი	(481)	-	-	(481)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(3,098)	-	-	(3,098)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	4,841	(36)	-	4,805

2019 წლისთვის ლიკვიდურობის მაჩვენებელი შედარებით გაუარესდა, რაც ძირითადად გამოწვეულია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების 80%-იანი ზრდით.

სავალუტო და საბაზრო რისკი

სავალუტო რისკი წარმოადგენს რისკ იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო. კომპანიის დამოკიდებულება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ძირითადად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

კომპანია არ ახდენს სავალუტო რისკზე მისი დამოკიდებულების ჰეჯირებას.

საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებით მომხდარი ცვლილებები ძირითადად აისახება სესხებსა და კრედიტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულგანაკვეთიანი დავალიანება) ან მათი სამომავლო ფულადი ნაკადების (ცვლადგანაკვეთიანი დავალიანება) ცვლილებით. ხელმძღვანელობას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა იმისა, რომ განსაზღვროს თუ რა სახის უნდა იყოს კომპანიის დამოკიდებულება ფიქსირებული ან ცვლადი განაკვეთების მიმართ. თუმცა ახალი სესხის ან ახალი კრედიტის აღებისას, ხელმძღვანელობა გადაწყვეტს ფიქსირებული განაკვეთი უფრო ხელსაყრელი იქნება კომპანიისათვის, თუ - ცვალებადი განაკვეთი მოსალოდნელი დროის განმავლობაში, დაფარვის ვადამდე.

სხვა ოპერაციები

- ✓ კომპანიას აქვს აღებული სესხები, კრედიტები და სხვა ანალოგიური სახის ვალდებულებები საფინანსო ინსტიტუტებიდან. აღნიშნულ სესხებზე კომპანიას აქვს როგორც ფინანსური ისე არა-ფინანსური შეზღუდვები.
- ✓ კომპანიას აქვს გაცემული გარანტიები, რომელიც შესაბამისად ასახულია
- ✓ მნიშვნელოვანია, რომ კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან.

ხელმოწერი პირები:

დირექტორი - ზურაბ ჯაველიძე

მთ. ბუღალტერი - ლია არაქელაშვილი

სხვა ოპერაციები

- ✓ კომპანიას აქვს აღებული სესხები, კრედიტები და სხვა ანალოგიური სახის ვალდებულებები საფინანსო ინსტიტუტებიდან. აღნიშნულ სესხებზე კომპანიას აქვს როგორც ფინანსური ისე არა-ფინანსური შეზღუდვები.
- ✓ კომპანიას აქვს გაცემული გარანტიები, რომელიც შესაბამისად ასახულია
- ✓ მნიშვნელოვანია, რომ კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან.

ხელმომწერი პირები:



დირექტორი - ზურაბ ჯავახიძე



მთ. ბუღალტერი - ლია არაქელაშვილი